პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 221 (3705)

1968 წ. 12 ნოემბერი, სამშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — Орган Союза спортивных общества и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.



თბილისის მშრომელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს ოქტომბრის რევოლუციის 51-ე წლისთავი. 7 ნოემბერს მთავრობის სახლის წინ მოწყობილ ტრიბუნას ჩაუარეს დედაქალაქის ყველა რაიონის საშუალო, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებმა და სტუდენტებმა, ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეებმა, რომელთა კოლონებს ამშვენებდა წითელი დროშების, თაიგულების, ტრანსპარანტების ტყე, ლოზუნგები, პლაკატები...

დიდი მოწონება დაიმსახურა ფიზკულტურელთა გამოსვლებმა.

* * *

სურათებზე: ზევით — მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში რ. რურუა დემონსტრაციაზე; მარჯვნივ — მოდის საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა კოლონა.

ფოტო ა. კოტორაშვილისა და ვ. ბუკინისა.



## გეგმების შესრულება

აფხაზეთის სპორტკავშირის თავმჯდომარემ ჯ. გუბაზმა და წულუკიძის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარემ ა. უუფარაძემ რედაქციას უდეპეშეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულებათა შესრულების შესახებ.

გუბაზი გვატყობინებს, რომ აფხაზეთის სპორტულმა ორგანიზაციებმა ვადამდე და გადაჭარბებით გაანაღდეს სპორტის ოსტატებისა და პირველთანრიგოსნების მომზადების გეგმები: 19 სპორტის ოსტატის მაგიერ წლეულს 24 სპორტის ოსტატი აღზარდეს. გადაჭარბებითაა შესრულებული I და სხვა თანრიგების სპორტსმენთა აღზრდის გეგმა-ვალდებულებაც.

უუფარაძე გვაცნობებს, რომ წულუკიძის რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სანოემბროდ გადაჭარბებით გაანაღდეს ნიშნოსნების და თანრიგოსნების მომზადების გეგმა-ვალდებულება.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შექმნა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო-რესპუბლიკური კომიტეტი სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს ბაზაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ს. ვ. პავლოვი.

## ზედიზედ მეცხრედ

ლუგანო, 10 ნოემბერი. დამთავრდა XVIII მსოფლიო ოლიმპიადა ჭადრაკში. როგორც ცნობილია, სსრ კავშირის გუნდმა ამ საინტერესო შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა ოქროს მედლები, ბოლო, XIII ტურში სსრ კავშირის მოჭადრაკეები შეხვდნენ კანადის ნაკრებს და ყაიმით დაასრულეს მატჩი — 2:2. საბჭოთა გუნდმა 39,5 ქულა მოაგროვა 52 შესაძლებლიდან და 8,5 ქულით გაუსწრო იუგოსლავიის ნაკრებს, რომელმაც ვერცხლის მედლები დაისაკუთრა.

უაღრესად მწვავე ბრძოლა გაიმართა III საპრიზო ადგილისთვის. ბრინჯაოს მედლებს ერთმანეთს ეცილებოდნენ ბულგარეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები. ყველაფერი გადაწყვიტა ს. რეშევსკისა (აშშ) და ვ. ულმანის (გდრ) გადადებული პარტიის დამთავრებამ. რეშევსკის გამარჯვების შემთხვევაში ამერიკელები ეწეოდნენ ბულგარელებს, მაგრამ ზემოაღნიშნული გადადებული პარტია ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, III საპრიზო ადგილი 30 ქულით დაიკავა ბულგარეთის ნაკრებმა. იგი მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩა იუგოსლაველებს.

მთავარი ფინალური ტურნირის ცხრილში მომდევნო ადგილებზე არიან: აშშ — 29,5 ქულა, გფრ — 29, უნგრეთი — 27,5, რუმინეთი და არგენტინა — 26-26, გდრ და ჩეხოსლოვაკია — 24,5-24,5, პოლონეთი — 23, დანია — 21, კანადა — 19, ფილიპინები — 13,5.

ფიდე-ს გარდამავალი თასისა და ოქროს მედლების ზედიზედ მეცხრედ მფლობელმა საბჭოთა გუნდმა ნახევარფინალში შვიდივე შეხვედრა, ხოლო ფინალში 11 მატჩი მოიგო. გამარჯვებულთა შემადგენლობაში იყვნენ: მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, მსოფლიოს საჭადრაკო გვირგვინის პრეტენდენტი ბ. სპასკი, ვ. კორჩნოი, ე. გელერი, ლ. პოლუგაევსკი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი.

ყველა საბჭოთა მოჭადრაკემ თავის დაფაზე საუცხოო შედეგებს მიაღწია. პეტროსიანმა 10,5 ქულა მოაგროვა 12 შესაძლებლიდან (I ადგილი), სპასკიმ — 10 ქულა 14-დან (იგი თამაშობდა მეორე და პირველ დაფებზე), კორჩნოიმ — 11 ქულა 13-დან (I ადგილი), გელერმა — 9,5 ქულა 12-დან, პოლუგაევსკიმ—10,5 ქულა 13-დან (I ადგილი), სმისლოვმა — 11 ქულა 12-დან (I ადგილი). ამას გარდა, სმისლოვმა ოლიმპიადის ყველა მონაწილეს შორის საუკეთესო შედეგს მიაღწია: 10 პარტია მოიგო და მხოლოდ ორი დაამთავრა ყაიმით.

იუგოსლავიის გუნდში იყვნენ: დიდოსტატები ს. გლიგორიჩი, ბ. ივკოვი. ა. მატანოვიჩი, მ. მატულოვიჩი, ბ. პარმა და დ. ჩირიჩი.

ბულგარეთის ღირსებას იცავდნენ: დიდოსტატები მ. ბობოცოვი, გ. ტრინგოვი, ნ. პადევსკი, ოსტატები ა. კოლაროვი და ი. რადულოვი. მეორე დაფაზე ბრწყინვალედ ითამაშა ტრინგოვმა — 11 ქულა 14-დან.

## მინიმალური ანგარიშით

სულ ცოტა ხნის წინ სპორტის მოყვარულები ინტერესით ადევნებდნენ თვალს მოკრივეთა ასპარეზობას მეხიკოს რინგზე. ისინი აღტაცებული იყვნენ პოლონელი და საბჭოთა მოკრივეების ი. გრუძენის, ე. კულეის, ვ. სოკოლოვის, ბ. ლაგუტინისა და დ. პოზნიაკის ოსტატობით. 10 ნოემბერს კი მილიონობით ტელემაყურებელმა ნახა ამ ქვეყნების შესანიშნავ მოკრივეთა სამატჩო შეხვედრა ევროპის თასის ფინალის ფარგლებში. თუმცა ამჯერად რინგზე გამოვიდნენ არა სახელგანთქმული მოკრივეები, არამედ მათი შემცვლელნი. ამ თაობის სპორტსმენებისთვის თამამად შეიძლებოდა ოლიმპიელები გვეწოდებინა, რადგან, ვფიქრობთ, ისინი ძირითად ბირთვს შექმნიან 1972 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე სსრ კავშირისა და პოლონეთის გუნდებში.

ევროპის თასი კრივში პირველად ხუთი წლის წინ გათამაშდა. მაშინ ამ საპატიო პრიზისთვის იბრძოდნენ ეროვნული ნაკრები გუნდების მოზრდილი მოკრივეები. 1965 წელს შეჯიბრების დებულება შეიცვალა: გადაწყდა ტურნირი გამართულიყო 21 წელზე არაუხნესი მოკრივეებისთვის, ხოლო თასისთვის მოყვარულ მოკრივეთა საერთაშორისო ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტის ე. გრემოს პატივსაცემად მისი სახელი ეწოდებინათ. 1963 წლიდან პრიზი ორჯერ გათამაშდა და იგი ორივეჯერ საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს. აგერ უკვე სამი წელია ეს ჯილდო ლუჟნიკის სპორტის მუზეუმს ამშვენებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ შეჯიბრებებში გამოიჭედა ისეთი ცნობილი მოკრივეების ოსტატობა, როგორიც არიან დ. პოზნიაკი, ა. კისელიოვი, ე. ფროლოვი, ვ. სოკოლოვი და სხვ.

პრიზის მესამე გათამაშებაში მონაწილეობდა 9 ქვეყანა. მოასპარეზენი სამ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილი: სსრ კავშირი, იუგოსლავია და ირლანდია; პოლონეთი, გდრ და უელსი; იტალია, საფრანგეთი და რუმინეთი. ქვეჯგუფებში გამარჯვებულებმა — სსრ კავშირის, პოლონეთისა და იტალიის მოკრივეთა გუნდებმა შეადგინეს ფინალი, სადაც გამოირკვევა თასის საბოლოო მფლობელი. შეჯიბრების რეგლამენტი ასეთია: გუნდები ერთმანეთს ხვდებიან ორჯერ — საკუთარ და მეტოქის რინგზე.

და აი, 10 ნოემბერს ვარშავაში გაიმართა საბჭოთა და პოლონელ მოკრივეთა შეხვედრა. პოლონელებმა მინიმალური ანგარიშით (6:5) გაიმარჯვეს. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა, როგორც ჩანს, გაიმართება 26 იანვარს მოსკოვში ან კიევში.

სსრ კავშირისა და იტალიის მოკრივეთა მატჩების ვადები მოგვიანებით გადაწყდება. ევროპის თასზე შეჯიბრება გაისად ზაფხულისთვის უნდა დამთავრდეს.

## ბრაზილიელებმა წარმატება იზეიმეს

110 ათასი მაყურებელი დაესწრო რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას" სტადიონზე საერთაშორისო საფეხბურთო მატჩს ბრაზილიის ნაკრებსა და ე. წ. მსოფლიოს ნაკრებს შორის. 6 ნოემბერს გამართული ეს თამაში მიეძღვნა ბრაზილიური ფეხბურთის არსებობის 50 წლისთავსა და ამ ქვეყნის გუნდის მიერ მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების 10 წლისთავს.

მატჩის დასაწყისმა წარმატება მოუტანა ბრაზილიელებს. უკვე მე-2 წუთზე ნახევარმცველმა რიველინომ გაიტანა ბურთი მსოფლიოს ნაკრების კარში.

ანგარიში გათანაბრებულ იქნა 33-ე წუთზე. ჯაიჩის მიერ მოწოდებული ბურთი ზუსტი დარტყმით დაამთავრა ალბერტმა — 1:1.

უკიდურესად დაძაბულ, საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგაც. მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას ბევრი აღარ აკლდა, ტოსტაოს ზუსტმა დარტყმამ გამარჯვება მოუტანა ბრაზილიის ნაკრებს — 2:1.

მსოფლიოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: იაშინი (სსრ კავშირი), ნოვაკი (უნგრეთი), შესტერნიოვი (სსრ კავშირი), შულცი (გფრ), მარზოლინი (არგენტინა), ბეკენბაუერი (გფრ), სიუჩი (უნგრეთი), ამანსიო (ესპანეთი), ალბერტი (უნგრეთი), ოვერატი (გფრ), ჯაიჩი (იუგოსლავია). მეორე ტაიმში იაშინი შეცვალა მაზურკევიჩმა (ურუგვაი), სიუჩი — პერფიუმომ (არგენტინა), ამანსიო — მეტრეველმა (სსრ კავშირი), ალბერტი — როხამ (ურუგვაი), ჯაიჩი — ფარკაშმა (უნგრეთი).

◆ ჰოკაიდო, 11 ნოემბერი. თავიანთი იაპონური ტურნეს მეორე მატჩში ცსკა-ს ჰოკეისტებმა აქ დაამარცხეს „ივაკურა-გუმი" — 12:0 (პირველი შეხვედრა საბჭოთა გუნდს ტომაკომაის ახალგაზრდა გუნდთან „ოძი სეისისთან" ჰქონდა და გაიმარჯვა — 10:3).

◆ ნეაპოლი, 11 ნოემბერი. აქ დამთავრდა რკინიგზელ მოცურავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ბრწყინვალე შედეგს მიაღწია საბჭოთა „ლოკომოტივმა", რომელმაც 139 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაიკავა. II ადგილზე გავიდნენ გდრ-ის წარმომადგენლები (69 ქულა), ხოლო III — პოლონელები (53). განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მოსკოველებმა ვ. ბურემ და ნ. პანკინმა. პირველმა ყველას აჯობა 400 (4.24,8) და 1500 მეტრზე (17.44,2) თავისუფალი სტილით ცურვაში, მეორემ — 100 (1.09,1) და 200 მეტრზე (2.31,7) ბრასით. ამ სტილით ცურვაში ორივე დისტანციაზე მეორე იყო მოსკოველი ვ. გოდუნი (1.13,8 და 2.40,3). მოსკოველმა ი. სუმცოვმა (57,8) და დნეპროპეტროვსკელმა ლ. კლიმენკომ (58,0) I-II ადგილები დაიკავეს 100 მეტრზე თავისუფალი სტილით, ხოლო დონეცკელმა ა. კრავჩენკომ (2.18,2) და ე. ივანოვმა (2.27,4) — 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში.

ფეხბურთი -68

8 ნოემბერს შედგა საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის შეხვედრები.

სსრ კავშირის ჩემპიონი — კიევის „დინამო" როსტოვში თამაშობდა ადგილობრივ არმიელთა გუნდთან და აგებდა შეხვედრას — 0:2. მატჩი დაიწყო იმით, რომ მეღვიდმა საკუთარ კარში მოათავსა ბურთი, მერე კი პოპოვმა ანგარიში აიყვანა 2:0-მდე. ჩემპიონმა მაინც შეძლო თავი დაეღწია დამარცხებისთვის კრულიკოვსკისა და სერებრიანიკოვის გოლების მეშვეობით — 2:2.

უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი დონეცკში ადგილობრივ „შახტიორსა" და მოსკოვის „დინამოს" შორის. ერთადერთმა ბურთმა, რომელიც „შახტიორის" კარში გაიტანა კოზლოვმა, გამარჯვება მოუტანა დინამოელებს.

2:2 — ასე დამთავრდა თამაში ბაქოში ადგილობრივ „ნეფტჩისა" და მინსკის „დინამოს" შორის. მასპინძელთა მხრივ ბურთების ავტორები არიან სმოლნიკოვი და ბანიშევსკი, დინამოელთაგან — სავოსტიკოვი და კაბერსკი.

ცსკა-მ დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია ლუგანსკში, სადაც მოუგო ადგილობრივ „ზარიას" — 2:0. ორივე ბურთი (კაპლიჩნი, მასლიაევი) გავიდა მეორე ტაიმში.

მორიგ წარმატებას მიაღწია საკუთარ მინდორზე „კაირატმა": ალმაათელებმა დაამარცხეს „ლოკომოტივი" — 1:0. გოლის ავტორია ვოლოხი.

ერთმა ბურთმა გადაწყვიტა „არარატისა" და „კრილია სოვეტოვის" შეხვედრის ბედიც. ერევნელებმა გაიმარჯვეს ზანაზანიანის მიერ გატანილი პენალტის წყალობით.

და, ბოლოს, ჩემპიონატის აუტსაიდერის — კიროვაბადის „დინამოს" მატჩის შესახებ „ზენიტთან". კიროვაბადელები კვლავ დამარცხდნენ და კვლავ საკუთარ მინდორზე. ლენინგრადელთა მხრივ ბურთები გაიტანეს პოლიაკოვმა (2) და ვიუნმა, დამარცხებულთაგან — სალახოვმა და სპიკინმა.

## გუშინ...

თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა 2 მატჩი. ჯერ ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" სათადარიგო შემადგენლობანი. შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 5:0. შემდეგ გაიმართა უეფა-ს ტრადიციული ტურნირის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და ფინეთის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 5:0.

# გამარჯვება ფინიშზე

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 8 ნოემბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 1:0 (1:0).

„ტორპედო": კოტრიკაძე, წვერავა, ებრალიძე, შერგელაშვილი (ჭოლაძე), ჩხაიძე, ასიტაშვილი, ერქომაიშვილი, ზარია, ხერხაძე, ვეკუა, ჰითანავა (ნაჭყებია).

„ჩერნომორეცი": იარჩუკი, ცუნინი, ლისენკო, რიაშკო, კუზმინი, პოპჩიკო (ავერიანოვი), სეკეჩი (ზოსი), ზიმანოვიჩი, ზვენიგოროდსკი, კუჩინსკასი, ვარგა.

მსაჯი ი. მეილახშტეინი (მოსკოვის ოლქი).

ქუთაისის „ტორპედომ" შეძლო იმ ძირითადი ამოცანის წარმატებით გახორციელება, რომელიც მის წინაშე იყო დასახული წლევანდელ სეზონში: გუნდი დარჩა უმაღლეს ლიგაში. ამიტომ მატჩის შედეგით გაცილებით უფრო დაინტერესებული იყო „ჩერნომორეცი", რომელიც სერიოზული მიღწევებით გამოვიდა მიმდინარე ჩემპიონატში და შეძლო ფეხის მოკიდება პირველ ათეულში. სწორედ ამიტომ მას აუცილებლად ესაჭიროებოდა თუნდაც 1 ქულა საიმედო გარანტიის უზრუნველსაყოფად.

## სსრ კავშირის პირველობა

## სათამაშების ცხრილი

### ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 12 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 38 | 21 | 15 | 2 | 58—25 | 57 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 36 | 20 | 9 | 7 | 60—40 | 49 |
| ცსკა | 37 | 20 | 9 | 8 | 50—30 | 49 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 36 | 18 | 12 | 6 | 57—29 | 48 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 38 | 19 | 9 | 10 | 58—32 | 47 |
| „დინამო" (მინსკი) | 36 | 16 | 11 | 9 | 47—34 | 43 |
| „დინამო" (თბილისი) | 36 | 15 | 12 | 9 | 44—25 | 42 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 36 | 11 | 15 | 10 | 45—43 | 37 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 37 | 10 | 16 | 11 | 34—38 | 36 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 37 | 12 | 12 | 13 | 40—47 | 36 |
| „ზენიტი" ლენინგრადი) | 37 | 10 | 14 | 13 | 34—47 | 34 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 38 | 10 | 13 | 15 | 23—41 | 33 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 37 | 12 | 8 | 17 | 32—40 | 32 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 37 | 9 | 13 | 15 | 38—42 | 31 |
| ასკ (როსტოვი) | 37 | 10 | 11 | 16 | 40—48 | 31 |
| „არარატი" (ერევანი) | 37 | 11 | 8 | 18 | 33—45 | 30 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 37 | 9 | 11 | 17 | 22—38 | 29 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 38 | 9 | 10 | 19 | 27—48 | 28 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 36 | 9 | 9 | 18 | 39—58 | 27 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 37 | 5 | 9 | 23 | 25—56 | 19 |

# სახიფათო იერიშებში

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 10 ნოემბერი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 1:0 (0:0).

„ლოკომოტივი": ბერიძე, დვალიძე, პანოვი, ფრიდმანი, მირიანაშვილი, შხვაცაბაია, გეგეჭკორი, ჰელიძე (მიქაშავიძე), ბახტაძე, ხუციშვილი, მესხაძე.

„ურალმაში": გოლუბევი, ანდრეიუკი (მუსახრანოვი), ფეოქტისტოვი (ტიურინი), სენიუკოვი, ტერკუნოვი, სესიუნოვი, ეროხინი, პაპუგა, ეპიშინი, ზოსი, ვარგუზოვი.

მსაჯი ნ. შემუნოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:1.

სვერდლოვსკის გუნდს კარგა ხანია დიდი უპირატესობით აქვს განაღდებული I ადგილი ქვეჯგუფში და სხვა ქვეჯგუფების გამარჯვებულებთან ერთად უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ ტურნირში მონაწილეობის უფლებაც. ამდენად, „ურალმაშს" სრული უფლება აქვს ითამაშოს ქულების დაკარგვის რისკის გარეშე და გუნდმა სწორედ ასეც ითამაშა თბილისის „ლოკომოტივთან": სოლიდურად, საუკეთესო ურთიერთმოქმედებით, ლიდერის დონეზე.

მაგრამ თბილისელებს უპირველესად სწორედ ქულები აინტერესებდათ, ვინაიდან გათამაშების ამ ბოლო მატჩს შეეძლო მათი სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესება. ამიტომ იყო, რომ თბილისელთა თამაშში მეტი აგრესია და მონდომება ჩანდა. სტუმრებს დიდ უსიამოვნებას აყენებდა მარცხენა გარემარბი მესხაძე, რომელიც სისტემატურად უგებდა ბრძოლას ისეთ გამოცდილ მცველს, როგორიცაა ანდრეიუკი. მას I აქტიურად უჭერდნენ მხარს სხვა პარტნიორებიც, კერძოდ, ბახტაძე; „ლოკომოტივის" ცენტრალური თავდამსხმელი ამჯერად გუნდის მთავარ შემტევ ძალად მოგვევლინა და სწორედ მისი სახიფათო გარღვევების შემდეგ იქმნებოდა საგოლე მომენტები „ურალმაშის" კართან. შეტევაში ხშირად მონაწილეობდნენ ნახევარმცველები გეგეჭკორი და შხვაცაბაია.

გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა „ლოკომოტივს", გატანილ იქნა 55-ე წუთზე. მესხაძემ თავისი ფლანგიდან მოაწოდა ბურთი კართან, გოლუბევი წამით შეფერხდა და ბახტაძემ თავით გაგზავნა ბურთი სვერდლოვსკელთა კარში — 1:0.

საინტერესო ბრძოლა არ დამცხრალა მატჩის ბოლო წუთებამდე და თბილისელებმა შეძლეს გამარჯვების შენარჩუნება.

ა. მაჩაიძე.

## სხვა მატჩები

10 ნოემბერს გაიმართა „ა" კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის გუნდების ბოლო ტურის შეხვედრები.

ბათუმის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ყაზანის „რუბინი". დინამოელებმა კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს — 2:1.

ტყიბულის „მეშახტემ" შინ ფრედ ითამაშა იოშკარ-ოლის „სპარტაკთან" — 1:1.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ზენიტი" (იჟევსკი) 1:1, „თერგი" (გროზნო) — „სტროიტელი" (უფა) 1:1, „დინამო" (მახაჩყალა) — „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) 1:1, „ფოლადი" (სუმგაითი) — „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) 1:0.

# მთელ გუნ
# ჩ უ თ ი ა

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 9 ნოემბერი.

საქართველო (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები) 2:1 (2:0).

საქართველო: სტეფანია, ბუძიშვილი, ხინჯიკაშვილი, ყურაშვილი, ლობჟანიძე, ავერინი, წოწორია (ჯიქია), ჯლარკავა, ყიფიანი, კვანტალიანი, ანდრიაძე.

სსრ კავშირი: კრიჟანოვსკი, კოზინი, ლუპანოვი, ჩიტაური, ბუტურლაკინი, ტიმოფეევი (მირზოიანი), ლუკინი (აბრამოვი), კულიჩენკოვი (შევჩენკო), გრიგორიევი, დუდინსკი (კურაშინოვი), საფონოვი (აქსიონოვი).

მსაჯი კ. ანძიულისი (კაუნასი).

ახალგაზრდული ნაკრები გუნდების საერთაშორისო ტურნირის ქვეჯგუფებში გამარჯვებულთა ფინალურმა მატჩმა თბილისის სპორტული საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია და გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, სსრ კავშირისა (გორის ქვეჯგუფი) და საქართველოს (მახარაძის ქვეჯგუფი) გუნდების შეხვედრამ ყოველმხრივ გაამართლა მაყურებელთა მოლოდინი. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ ფეხბურთელთა დიდი წარმატება და I ადგილი ესოდენ სერიოზულ საერთაშორისო ტურნირში, მაგრამ საქმე მხოლოდ საპატიო პრიზის მოპოვებაში როდია. ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებოდით თვით ფეხბურთელებს იმ თვალსაზრისით, თუ მათი რიგებიდან როგორი ცვლა ექნება საქართველოს ოსტატთა გუნდებს, თუ რა ხარისხის შევსება მოდის მომავლისთვის.

ცალკეულ მოთამაშეებზე ჯერ არ ვილაპარაკებთ, მაგრამ აღვნიშნავთ მთელი კოლექტივის (მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი) დიდ პატრიოტიზმს, ენერგიას, გამარჯვებისადმი სწრაფვას, საერთო მეგობრულ სულისკვეთებას, კარგ ტექნიკურ და ფიზიკურ მომზადებას. მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზი სპეციალურმა ჟიურიმ მიანიჭა საქართველოს ნაკრების ცენტრფორვარდს დათო ყიფიანს. ჟიურის ეს გადაწყვეტილება ეჭვს არ იწვევს და პრიზი ღირსეულ ადრესატს გადაეცა, მაგრამ კვლავ გვინდა გავუსვათ ხაზი მთელი კოლექტივის დამსახურებას საერთო გამარჯვებისთვის ბრძოლაში.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ერთი ფაქ-
...აძულა ტორპე-
...თ გამარჯვების-
...ში მათ მარცხი
...ი, და რევანშის
...ს პრესტიჟის სა-
...ა. ეს გამარჯვე-
...ა, თუმცა მატჩი
...მიმდინარეობდა სანა-
...თ და მაღალი
... მიმდინარეობ-
...ცა ზარიას შო-
... მიიღო ვეკუამ და
... გაგზავნა ბურთი
...კარში — 1:0.
... კიდევ ჰქონდათ

გოლის გატანის საშუალება. იმავე ვეკუამ ვერ გამოიყენა ხერხაძის კარგი გადაცემა, შემდეგ თვით ხერხაძემ ააცილა ახლო მანძილიდან მიზანს და ასეთივე ბედი ეწია ჰოლაძის თავურ დარტყმასაც. ოდესელთა კონტრშეტევები ნაკლებად სახიფათო იყო, თუმცა კოტრიკაძეს 68-ე წუთზე მაინც მოუხდა კუზმინის ძლიერი დარტყმის მოგერიება.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩი არ შემდგარა და გამარჯვება ჩაეთვალა ქუთაისის „ტორპედოს“.

**შ. ნიჟარაძე.**

**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**



...დინამოელებთან ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ ...მო“, როგორც ცნობილია, ზედიზედ მესამედ გაინაღდა ...ს ჩემპიონის მაღალი წოდება. პირველნი, ვინც კიეველებს ...რმატება მიულოცა, თბილისელები იყვნენ.
...ე: მ. ხურცილავა (მუქ მაისურში) ჩემპიონობას ულოცავს ...ევჩენკოს.

ფოტო ი. შაინსკისა.

...ს ...

...ი კავშირის ნაკრების ...არ ელოდა ასეთ და... რომ ვთქვათ, საქართ... ასეთ ძლიერ და ...მასპინძლებმა პირ...ნ აგრძნობინეს მე...ლას ექნებოდა უშე...ი ხასიათი, რომ მა... პრეტენზიები ჰქონ...ის მოპოვებისა. უკ...ეებიდან სტუმრების ... რამდენიმე შეტევა ...რომელთაგან ერთ-ერ...ანდრიაძისა და კვან... საუკეთესო გათამაშე...თ და ზუსტი გოლით

...სსრ კავშირის ნაკრე...ანიშნა კუთხური და ...ული შეცდომა დაუყო...გამოყენებული: წოწო...ან მიაწოდა ჯღარკა... უკანასკნელის უძლიე... შეუფერხებლად მია... 2:0.
...სსრ კავშირის ნაკრე...ანელობამ თითქმის

მთლიანად შეცვალა თავდასხმა. გუნდის წინა ხაზის ეს ახალი, მეორე ვარიანტი გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა. მასპინძელთა დაცვას დიდი დატვირთვა დააწვა და აქ ჩვენმა მოთამაშეებმა საუცხოო საბრძოლო თვისებები გამოავლინეს (განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბუძიშვილი). მართალია, კურაშინოვმა შეძლო 1 საპასუხო ბურთის გატანა, მაგრამ გამარჯვება მაინც შენარჩუნებულ იქნა. თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში იერიში იერიშს მოსდევდა და მასპინძლები წონასწორობიდან მაინც არ გამოსულან. საერთაშორისო ტურნირის მთავარი პრიზი ჩვენმა გუნდმა დამსახურებულად მოიპოვა.

* * *

მატჩი III ადგილისთვის უნგრეთისა და აზერბაიჯანის გუნდებს შორის დამთავრდა უნგრელთა გამარჯვებით — 4:0. V ადგილზე გავიდა გდრ-ის ნაკრები, რომელმაც რუსთავში ანგარიშით 4:1 დაამარცხა ფინეთის გუნდი.

**რ. ქორიძე.**

* * *

სურათებზე: მარცხნივ — საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები; მარჯვნივ — უნგრეთისა და აზერბაიჯანის გუნდების შეხვედრის მომენტი. მეოთხე გოლი აზერბაიჯანელთა კარში.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

# ...სი გათამაშდა

...ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 8 ნო-

**...ლო“ (მოსკოვი) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი) 1:0 (0:0).**

**...მო“: კავაზაშვილი (სკოკოვი), ჩუმაკოვი, პახომოვი, იანეცი, ...ნოვი), შუსტიკოვი, ლენიოვი, სტრელცოვი, მიხაილოვი, ...სავჩენკო.**

**...ორი“: ლიუბარცევი, დოცენკო, შტერნი, ნაუმენკო, ინოია...ფულაევი, ვარიუხინი, ბექთაშევი (ისაკოვი), აბდურაიმოვი, ...იბრაგიმოვი.**

**... ბახრამოვი (ბაქო).**



...ის თასის ფინალური ...ოვში დაიხურა 1968 ...ერთო სეზონი. მიუხე...ლოდენი დიდი მნიშ...თამაშო ...ვერ გამოდგა

თავისი რანგის შესაფერისი. ორივე გუნდი ფრთხილობდა — ძირითად აქცენტს საკუთარი კარის უხიფათობაზე აკეთებდა. არ ჩანდა თავდამსხმელთა აქტიურობა და სწრაფვა გოლის გატანისადმი მიუხედავად იმისა, რომ მატჩში მონაწილეობდა საკავშირო ჩემპიონატის ორივე საუკეთესო სნაიპერი — სტრელცოვი და აბდურაიმოვი. ვერც მათ შეძლეს რაიმე სიმწვავის შეტანა თამაშში.

საერთო ტერიტორიული უპირატესობა ტორპედოელებს ჰქონდათ, რომელთაც გაიმარჯვეს კიდეც მინიმალური ანგარიშით. ეს ერთადერთი გოლი 52-ე წუთზე გაიტანა სავჩენკომ, რომელმაც კართან ახლოს მიიღო სტრელცოვის გადაცემა.

*ი. ს. ტურგენევის დაბადებიდან 150 წლისთავის გამო*

# დიდი რუსი მწერალი და ა. დადიანი

ი. ტურგენევის თანამედროვეებისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატი ჭადრაკის ტრფიალი გახლდათ. პარიზში ცხოვრების დროს იგი ხშირად ეწვეოდა ხოლმე სახელგანთქმულ კაფე „რეჟანსს“, სადაც ცნობილ მოჭადრაკეებს ხვდებოდა. მაგრამ მის მიერ ნათამაშევი პარტიები საჭადრაკო პრესაში ძალზე ცოტა გამოქვეყნდა. ერთ-ერთი მათგანი, რომელშიც მწერალმა კარგად მოუგო პოლონელ ოსტატ ვ. მაჩუსკის, დაბეჭდილი იყო 1861 წელს „ნუველ რეჟანსში“. მეორე კი. და ისიც მხოლოდ პარტიის დამთავრება (ოსტატ შუმოვთან) გამოქვეყნდა გრთი წლით ადრე პეტერბურგის „შახმატნი ლისტოკში“.

ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო შესანიშნავი ქართველი მოჭადრაკის ანდრია დადიანის სურვილი, რომ, როცა ხელთ მოხვდა დიდი რუსი რომანისტის პარტია, იგი ჭადრაკის მოყვარულთა ფართო წრისთვის გაეცნო. ტურგენევი იმ ხანად პარიზში ცხოვრობდა და ცნობილი იყო ფრანგი მოჭადრაკეებისთვის. ამიტომ გასაგებია, რომ დადიანმა პარტია „ლა სტრატეჟიში“ გაგზავნა გამოსაქვეყნებლად. ტურგენევის პარტია დადიანის შენიშვნებით ამ ჟურნალის მარტის ნომერში დაიბეჭდა. მწერლის მეტოქეა იტალიის ჩემპიონი ს. დიუბუა — თავის დროზე ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეაი, პარტიაც ქართველი ოსტატის კომენტარებით.

**ი. ტურგენევი — ს. დიუბუა**

(შავები თამაშობენ f7 პაიკის გარეშე).

**1. e4 d6 2. d4 მf6 3. კd3 e5 4. კg5** (სუსტი სვლაა. თეთრები პაიკს კარგავენ და ვერ ღებულობენ კომპენსაციას ფიგურების კარგი განლაგების სახით) **4. ... ed 5. c3 dc 6. მ:c3 კe7 7. კ:f6** (ტემპის დაკარგვაა. უნდა ეთამაშათ 7. მge2 და შემდეგ როქი). **7. ... კ:f6 8. ლa4+** (ეს სვლა შავებისთვისაა ხელსაყრელი). **8. ... მc6 9. ლb3? მd4 10. ლd1** (უკეთესი იყო 10. ლc4). **10 ... c6 11. მge2 კg4! 12. 0—0 0—0 13. ლe1 კ:e2 14. მ:e2 ლb6** (შავები საუცხოოდ ავითარებენ თავიანთ ფიგურებს). **15. მ:d4 კ:d4 16. ეb1 ე:f2** (კომბინაცია დამახასიათებელი იტალიელი ოსტატის ელეგანტური და სოლიდური სტილისთვის). **17. მჶh1 ეaf8 18. b4 ე:f1+ 19. კ:f1 კe5! 20. a4 ლd4 21. ეd1 ლb2 22. ეb1 ლc2 23. b5** (თუ 23. a5, მაშინ შავები უპასუხებენ 23. კc3 და იგებენ) **23. ... ლ:a4 24. bc ლ:c6.** თეთრები დანებდნენ.

იმავე წელს ტურგენევის ეს პარტია დადიანის შენიშვნებით გადაიბეჭდა იტალიურ საჭადრაკო ჟურნალში „ნუოვა რივისტა დეგლი სკაკი“ (№ 553, გვ. 107).

სად და როდის გათამაშდა ეს პარტია, გამოქვეყნებისას მითითებული არ იყო. 1904 წელს გაზეთში „ოდესკიე ნოვოსტი“ დაიბეჭდა ცნობა, რომ რედაქციამ ლივორნოდან იტალიელი საჭადრაკო კომპოზიტორის გ. ვალეს წერილი მიიღო. ვალე რედაქციას წერდა: „ჩემს ძველ ქაღალდებში ვიპოვნე ნაგლეჯი, სადაც ჩაწერილია ცნობილი რუსი რომანისტის ი. ტურგენევის პარტია იტალიის ჩემპიონ ს. დიუბუასთან, რომელიც რუსეთში იყო 1876 წელს, ხოლო პარტია პეტერბურგშია ნათამაშევი“.

მაგრამ ამ ცნობის დადასტურება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ტურგენევი იმ წელიწადს მართლაც ორჯერ იყო პეტერბურგში: 24 მაისიდან 1 ივნისამდე და 19-21 ივლისს. მაგრამ ვერც რუსულ საჭადრაკო განყოფილებებში (ჩიგორინის ჟურნალი „შახმატნი ლისტოკი“ 1876 წლის სექტემბრიდან გამოდიოდა), ვერც საზღვარგარეთის პერიოდულ პრესაში ვერ ვნახე ვერავითარი მასალა ცნობილი იტალიელი მოჭადრაკის რუსეთში ჩასვლის თაობაზე. იტალიელმა საჭადრაკო ისტორიკოსმა და კომპოზიტორმა, დოქტორმა ა. ჩიკომ ვერაფერი მოიძია პეტერბურგში დიუბუას ყოფნის შესახებ და აზრი გამოთქვა, რომ ვალე შეცდა.

მაგრამ თუ 1876 წლის ვერსია მოიხსნება, მაშინ ყველაფერი იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ ეს პარტია გათამაშდა 1858 წლის დასაწყისში რომში, სადაც ტურგენევი ჩავიდა და იმ დროს საკმაოდ ხშირად ხვდებოდა საჭადრაკო დაფასთან იტალიის ჩემპიონს. ამაზე არსებობს თვითონ დიუბუას პირდაპირი ცნობა, რომელიც გამოქვეყნებულია 1901 წელს ჟურნალში „რივისტა სკაკისტიკა იტალიანო“ (გვ. 170): „1858 — ამ წელსაც ჩვენში სტუმრად იყვნენ ღირსეული მოყვარულები. მათ შორის პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ ცნობილი რუსი რომანისტი ტურგენევი, რომელთანაც კაფე ანტონინიში ბევრი პარტია მითამაშნია, ვაძლევდი პაიკს და სვლას“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ მაინც გამოცანად რჩება, როგორ მოხვდა ტურგენევის მიერ 1858 წელს რომში ნათამაშევი პარტია დადიანთან 1880 წელს. „ვსემირნაია ილუსტრაციიდან“ ჩანს (1880 წ. № 1, გვ. 379), რომ იმ წელიწადს, 13 აპრილს, ტურგენევის ბინაში მწერლის თანდასწრებით (მწერალი პეტერბურგში იყო 28 იანვრიდან 17 აპრილამდე) ა. დადიანმა ჭადრაკი ითამაშა ი. შუმოვთან. საფიქრებელია, რომ იმ წლის დასაწყისში ტურგენევმა გადასცა დადიანს დიდი ხნის წინათ ნათამაშევი პარტიის ხელნაწერი.

იქნებ ტურგენევისა და დადიანის ურთიერთობას ნათელი მოჰფინოს ქართველი მოჭადრაკის ხელნაწერებმა, რომლებიც ზუგდიდში ინახება? ეს კიდევ ერთ ნაკლებად ცნობილ, მაგრამ ძალიან საინტერესო ფურცელს გადაშლიდა გასული საუკუნის საჭადრაკო კულტურის ისტორიაში.

**ი. ლინდერი.**

# კარგი თაოსნობა

ახლახან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის თაოსნობით გამოიცა ე. ამირანაშვილისა და ი. შოროხოვას ნარკვევი საქართველოში ფრენბურთის განვითარების შესახებ. ნარკვევში მიმოხილულია ფრენბურთის განვითარების ეტაპები ჩვენს რესპუბლიკაში. ლაპარაკია საქართველოს ფრენბურთელთა მონაწილეობაზე საკავშირო ჩემპიონატებში, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში, სტუდენტთა თამაშებში, მოსწავლეთა საკავშირო პირველობებში და საერთაშორისო შეხვედრებში. ნარკვევს ფურცლებზე შეხვდებით იმ მწვრთნელებსა და მსაჯებს, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ფრენბურთის განვითარებაში.



ამ ნარკვევის კითხვისას უთუოდ კიდევ ერთხელ გაიფიქრებთ, რომ საჭიროა გამოიცეს ამგვარი წიგნები ჩვენს კალათბურთელებზე, მძლეოსნებზე, ჩოგბურთელებზე და სპორტის სხვა მრავალი სახეობის წარმომადგენლებზე. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში არის სპეციალური კათედრა — ფიზკულტურული ორგანიზაციების ისტორიისა. ამ ინსტიტუტში მუშაობენ წარსულში სახელგანთქმული სპორტსმენები და ამჟამად ცნობილი სპეციალისტები. ვფიქრობთ, მათ მხარი უნდა აუბან ფრენბურთელთა შესანიშნავ ინიციატივას.

**კ. ნუშტაევი,**

**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.**

## ახალი წიგნები



...რულ მართვაში. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მოიპოვა ვ. ეგიამ. მომდევნო ადგილებზე არიან შ. თვალთვაძე და რ. შენგელია.

**ო. სალია.**

## გორი

სოფელ ბოშურის საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭომ მოაწყო ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ბოშური — ველისციხე — ზღუდერი — ყინწვისი — ქარელი — გორი — ბოშური.

**ა. რაზმაძე,**

**ფიზაღზრდის მასწავლებელი.**

## გულრიფში

რაიონის სპორტკავშირმა და „კოლმეურნის“ საბჭომ სოფელ განახლებაში მოაწყვეს დიდი სპორტული ზეიმი. გაიმართა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ტყვიის სროლაში, ფრენბურთსა და ფეხბურთში. ზეიმში მონაწილეობა მიიღეს მეზობელი სოფლების ფიზკულტურელებმაც.

**შ. ჯალაღონია.**

## თიანეთი

გაიმართა რაიონის 8-წლიანი სკოლების ფრენბურთელთა ასპარეზობა. გოგონებშიც და ვაჟებშიც I ადგილი დაისაკუთრეს სოფელ ზარიძეების სკოლის წარმომადგენლებმა. II ადგილი დაიკავეს ახალსოფლელებმა, ხოლო III — ებრტელებმა.

**გ. სუარიშვილი.**

## გურჯაანი

ველისციხის მე-13 პროფტექნიკურ სასწავლებელში გაიმართა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა. შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა ფრენბურთი, ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა და კროსი 1000 მეტრზე. გამარჯვებულები სიგელებით დაჯილდოვდნენ.

**ა. ჯალაღონია,**

**სასწავლებლის ფიზაღზრდის ხელმძღვანელი.**

* * *

რკინიგზის საშუალო სკოლაში გაიმართა მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრება. ვაჟებში სკოლის ჩემპიონობა მოიპოვა ნ. პოლოსიანმა, გოგონებში — ნ. აბულაშვილმა.

**ი. ოდიშელიძე.**

# კომკავშირის იუბილეს მიუძღვნეს

ამ ბოლო ხანს რესპუბლიკის რაიონებში კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ბევრი ღონისძიება ჩატარდა. ვბეჭდავთ ჩვენი კორესპონდენტების ცნობებს ამ ღონისძიებათა შესახებ.

## ✦ წალენჯიხა

მწვავე ბრძოლებში ჩატარდა მოსწავლე ფეხბურთელთა რაიონული შეჯიბრება. წარმატება წილად ხვდა ქვედა მაზანდარის საშუალო სკოლის გუნდს (დირექტორი შ. კვარაცხელია, ფიზაღზრდის მასწავლებელი ზ. კვარაცხელია).

* * *

დიდი ინტერესი გამოიწვია ქალაქის სტადიონზე ჩატარებულმა ავტოშეჯიბრებამ ფიგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ჩოხატაურელთა დავაში

ჩოხატაურში ექვს დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირველობა ლელობურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აჭარის, ქუთაისის, სამტრედიის, გურჯაანის, ჩოხატაურის ავტოსატრანსპორტო კონტორისა და ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნის კოლმეურნეობის გუნდები.

შეჯიბრება წრიული სისტემით

### საქართველოს პირველობა ლელობურთში

ჩატარდა. გათამაშების ბოლო დღეს ერთმანეთს შეხვდნენ მასპინძელთა გუნდები, რომლებსაც 4-4 მოგება ჰქონდათ. მათ შორის მატჩს უნდა გამოერკვია რესპუბლიკის ჩემპიონის ვინაობა. შეხვედრის პირველი ნახევარი ავტოტრანსპორტელებმა მოიგეს — 7:1. მათ არც მეორე ნახევარში გაუშვიათ ინიციატივა ხელიდან. საბოლოო ანგარიშია 20:1 ავტოტრანსპორტელთა სასარგებლოდ.

ამრიგად, ჩოხატაურის ავტოსატრანსპორტო კონტორის ლელობურთელებმა მეორედ მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის წოდება. II ადგილზე გავიდნენ ჩაისუბნელები, III — სამტრედიელები. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: ქუთაისი, გურჯაანი, აჭარა.

სასპარეზოდ უნდა გამოსულიყვნენ თბილისის (2), აფხაზეთის, ფოთის, მახარაძისა და ხობის გუნდებიც, მაგრამ მათ შეჯიბრებას რატომღაც თავი აარიდეს.

შ. სიხარულიძე.

ჩოხატაური.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: გადამწყვეტი შეხვედრის მომენტი; საქართველოს ჩემპიონი — ჩოხატაურის ავტოსატრანსპორტო კონტორის გუნდი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### საერთაშორისო ფოსტიდან

# ჰოკეი და ბიზნესი

როცა ყინულზე ჰოკეის ეროვნული ლიგის პროფესიონალები გამოდიან, თვალს ჭრის ვარსკვლავთა ელვარება. მაგრამ როცა მათ შორის გამოჩნდება რობერტ მარვინ ჰალი, იგივე ბობი ჰალი, იგივე „ოქროს რეაქტიული ბომბდამშენი“, კლუბ „ჩიკაგოს შავი შევარდნების“ მარცხენა თავდამსხმელი, ვარსკვლავები ბრწყინვალებას კარგავენ. მაშინ მოედანზე ჩანს მხოლოდ ის ერთი ბობი ჰალი, პროფესიული ჰოკეის მზე, რომლის სხივებზეც უკვე ათ წელზე მეტია ხელს ითბობენ პროფესიული ჰოკეის — კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების გიგანტური სანახაობრივი მონოპოლიის მესვეურები.

ბობის ამდენი სხვადასხვა სახელი სულ იოლი ასახსნელია: „ოქროსი“ მას იმიტომ უწოდეს, რომ უბრალო ხის ჰოკიჯოხით ისე ხვეტს ოქროს, როგორც ნიჩბით. ამ 29 წლის გოლიათმა უკვე დააგროვა მილიონი დოლარი საკუთრივ თავისთვის, ხოლო ათობით მილიონი დოლარი მოუტანა თავის კლუბსა და ჰოკეის ლიგის საქმოსნებს. „რეაქტიული“ ბობი იმიტომაა, რომ დღეს ჰოკეიში მასზე სწრაფი მოთამაშე არ არის. ბობის სისწრაფეა საათში 28,3 მილი შაიბით და 29,7 — უშაიბოდ. „ბომბდამშენი“ ჰალს იმიტომ უწოდეს, რომ იგი ერთ-ერთია იმ სამი ჰოკეისტიდან, რომელთაც ეკუთვნით იშვიათი შედეგი კანადის პროფესიული ჰოკეის ისტორიაში — 50 შაიბა ერთ სეზონში. დანარჩენი ორი „მონრეალელი კანადელების“ გუნდიდანაა. ესენი არიან მორის რიშარი და ბერნი ჯეოფრიონი. მათ მხოლოდ თითოჯერ მიაღწიეს ამ წარმატებას, ბობიმ კი ორივეს აჯობა: 1961-1962 წლების სეზონში მან 50 შაიბა გაიტანა ლიგის საუკეთესო მეკარეებთან ბრძოლაში, 1965-66 წლებში — 54, შარშან — 52. ხუთ სეზონში მას ორმოც-ორმოცზე მეტი შაიბა აქვს გატანილი. ჰალს ეკუთვნის ლიგის რეკორდი ერთ სეზონში მოპოვებულ ქულათა რაოდენობაში. 97 — ასეთია ჯამი პირადად გატანილი შაიბებისა და გოლით დაგვირგვინებული გადაცემებისა.

მთელი სპორტული კარიერის მანძილზე 400-ზე მეტი შაიბის გატანა მხოლოდ ოთხმა პროფესიონალმა შეძლო. ერთ-ერთი მათგანია რობერტ მარვინ ჰალი. ჰოკეის საბჭოთა გულშემატკივრებისთვის დანარჩენების სახელებიც ცნობილია. ესენი არიან „რაკეტად“ მონათლული მორის რიშარი, ჟან ბელივო და გორდი ჰოუვი. ჯერჯერობით ჰალის ანგარიშზე 414 შაიბა მოდის. მაგრამ შეიძლება 415-ე შაიბა მან ველარ გაიტანოს: ბობი ჰალმა განაცხადა ჰოკეის ვტოვებო.

ეს ახალი ამბავი ბომბივით გასკდა გაზეთების ფურცლებზე. მექსიკაშიც კი, სადაც ოლიმპიური თამაშების გარდა ყველაფერი დავიწყებული იყო, გაზეთმა „მექსიკო სიტი ნიუსმა“ ამ სენსაციას ხუთი სვეტი დაუთმო.

რატომ ტოვებს ჰოკეის ჯან-ღონით ალსავსე ბობი ჰალი? ჰოკეისტ ბობის უყვარს თამაში და მას დიდი ვაჟკაცობა დასჭირდება იმისთვის, რომ საკუთარი თავი დასძლიოს და არ უყუროს, როგორ ჭამს ჟანგი მის ციგურებს. მაგრამ არის მეორე კაცი, რომელიც შეიძლება მასზე ძლიერი აღმოჩნდეს. ესაა ბიზნესმენი მარვინ რობერტ ჰალი. მარვინ რობერტ ჰალს უყვარს დოლარები და იცის, რომ სამყაროში, სადაც ის ცხოვრობს, უფულოდ არაფერი გამოდის.

ჰალს დაუმთავრდა ხელშეკრულება „ჩიკაგოს შავ შევარდნებთან“. შარშან მას კლუბმა 40 ათასი დოლარი გადაუხადა. ახალი ხელშეკრულების დადების დროს ბობი ჰალმა მოითხოვა სამი წლით 300 ათას დოლარზე შეთანხმება. გამჭრიახ საქმოსანს არ სურს გადასახადების მსხვერპლი გახდეს. მან კლუბს შესთავაზა გეგმა, რომლითაც შეიძლება კანონს გვერდი აუაროს და გადასახადების ტვირთი შეიმსუბუქოს. ბობი თანახმაა წელიწადში ხელფასის სახით მიიღოს 25 ათასი დოლარი. დანარჩენ 275 ათას დოლარს კლუბი მას ნაწილ-ნაწილ გადაუხდის რამდენიმე წლის მანძილზე ფინანსური ინსპექციის თვალსაზრისით უმნიშვნელო რაოდენობით.

კლუბის ხელმძღვანელები გაკერპდნენ და ჰოკეისტთა მარათონის პირველ მატჩში (ამ სეზონში 12 გუნდმა 456 შეხვედრა უნდა გამართოს) „შავი შევარდნები“ უჰალოდ გამოვიდნენ ყინულზე.

ჯიუტობა კლუბისა, რომელთანაც ფირმა „ბობი ჰალ ენტერპრაიზ“-ის წარმომადგენლები აწარმოებენ მოლაპარაკებას, შეიძლება ძვირად დაუჯდეთ „შავ შევარდნებსაც“ და მთელ ჰოკეის მონოპოლიასაც. საქმე ისაა, რომ ბობი მაღალ შემოსავალს უზრუნველყოფს და თუ იგი არ ითამაშებს, პროფესიული ჰოკეის მაგნატთა ჯიბეს არა ერთი და ორი მილიონი მოაკლდება.

„შავი შევარდნების“ ხელმძღვანელები აშკარა პრესინგს განიცდიან სხვა კლუბების მხრიდან. ამ უკანასკნელთ არ სურთ დაკარგონ თავიანთი ლუკმა იმის გამო, რომ „ჩიკაგო“ მეტისმეტად ძუნწი აღმოჩნდა. „ოქროს ბომბდამშენს“ ძუნწობას არავინ საყვედურობს. გულშემატკივართა, სპორტულ მიმომხილველთა და ჰოკეის ფინანსურ საქმოსანთა საერთო აზრით, ბობი ღირს იმ ფულად, რასაც მოითხოვს. ბევრი კლუბი ჰალს სიხარულით გაუღებს კარს და მისთვის სასურველ პირობებს შესთავაზებს. „ტორონტოელმა ნეკერჩხლის ფოთოლმა“ განაცხადა, რომ მზადაა „შავ შევარდნებს“ მილიონი გადაუხადოს ბობი ჰალში.

მარვინ რობერტ ჰალი მშვიდად უცდის, რით დამთავრდება მისი ატეხილი ქარიშხალი. ბობი შიმშილით არ მოკვდება. მარტო შარშან ჰალმა დამატებით 50 ათასი დოლარი მიიღო იმ ფირმებისგან, რომლებიც მის სახელს რეკლამად იყენებენ. ხალხი ერთმანეთს ხელიდან გლეჯს ყველაფერს, რასაც „ოქროს ბომბდამშენის“ სახელი ამშვენებს. „ბობი ჰალ ენტერპრაიზ“-ის ფერმებში ჰალს 540 სული დარჩეული საქონელი ჰყავს, მათ შორის, პრიზიორი ხარი „შედევრი“, მაგრამ თვით „შედევრსაც“ კი არა აქვს იშვიათი პრიზებისა და თასების ისეთი კოლექცია, როგორიც თავისი კარიერის მანძილზე მისმა პატრონმა — ბობი ჰალმა მოაგროვა.

და კიდევ მოაგროვებს. დაუჯერებელია, რომ ჩრდილოეთ ამერიკის ჰოკეის მეპატრონეებმა ხელიდან გაუშვან ასეთი ოქროს თევზი. იგი მათთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ტყუილად როდი ატეხეს განგაში კანადის გაზეთებმა, პროფესიული ჰოკეი უჰალოდ იგივეა, რაც კანადა უნიაგაროდ ან პარიზი ეიფელის კოშკის გარეშე.

როგორც უნდა დამთავრდეს ეს ისტორია ჰოკეისტი ბობი ჰალისთვის, სულ ერთია, მოგებული დარჩებიან ბიზნესმენი მარვინ რობერტ ჰალი და კომპანია.

ბ. კოროლიოვი,
აას-ის კორესპონდენტი კანადაში.

### თბილისის სპორტული

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის I ჯგუფი. **დღეს:** „დინამო“ (თბილისი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 15 ს. 30 წ.

**კრივი.** სპორტის სასახლე. 13, 14, 15, 17, 18 ნოემბერი. სსრ კავშირის გუნდური პირველობა. მონაწილეობენ: „დინამოს“, „სპარტაკისა“ და პროფკავშირთა ნაკრები გუნდები. დასაწყისი 19 ს.

საქართველოს პროფსაბჭოს და დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ავტო-მოტოსპორტის სპეციალიზებული სპორტულ-ტექნიკური სკოლის დირექცია იღებს მოსწავლეებს საავტომობილო და სამოტოციკლო სპორტის განხრით. სამოტოციკლო და საავტომობილო სპორტის განყოფილებებზე მიიღებიან 12-16 წლის ასაკის მოზარდები.

მსურველებმა განცხადებები სკოლის დირექციას უნდა წარუდგინონ 15 ნოემბრამდე და მიუთითონ შესაბამისი განყოფილება.

მეცადინეობა დაიწყება 20 ნოემბრიდან.

სკოლის მისამართი: ი. ჭავჭავაძის პრ. № 53.

# ხუთიდან ოთხში

**ბელგრადი, 10 ნოემბერი.** მაგიდის ჩოგბურთში იუგოსლავიის ტრადიციულ ღია პირველობაში წლეულს მასპინძელთა გარდა მონაწილეობენ ინგლისის, გდრ-ის, ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, გფრ-ისა და შვეციის წარმომადგენლები. დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა ჩოგბურთელებმა, რომლებიც ხუთიდან ოთხ ფინალურ შეჯიბრებაში გავიდნენ.

ვაჟთა ერთეულების ფინალში ს. გომოზკოვი შეხვდება ევროპის ჩემპიონს — იუგოსლაველ დ. შურბეკს. ნახევარფინალში გომოზკოვმა დაამარცხა შვედი ჩ. იუჰანსონი. ვაჟთა წყვილების ფინალში გომოზკოვი და ა. ამელინი იასპარეზებენ შურბეკთან და ა. სტეპანჩიჩთან.

სსრ კავშირის ჩემპიონს ზ. რუდნოვას და შვედ მ. ნეიდერტს ქალთა წყვილების ფინალში მეტოქეებად ეყოლებათ რუმინელები მ. ალექსანდრუ და ე. მიხალკა.

შერეულ წყვილთა ფინალში რუდნოვასა და გომოზკოვის მეტოქეები არიან დ. ჰოვეშტადტი (გდრ) და ამელინი.

მხოლოდ ერთი ფინალი — ქალთა ერთეულებისა — გათამაშდება საბჭოთა სპორტსმენის გარეშე. აქ პირველობისთვის იბრძოლებენ ბ. კიშაზი (უნგრეთი) და ალექსანდრუ.

ქალთა გუნდური ასპარეზობა მოიგეს რუმინელებმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს უნგრელები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 2 რესპუბლიკური სპეციალური სპორტული საშუალო სკოლა-ინტერნატი დამატებით აცხადებს მოსწავლეთა მიღებას.

მოსწავლეები (როგორც გოგონები, ისე ჭაბუკები) მიიღებიან III, IV და VII კლასებში სპორტული ტანვარჯიშის, ჩოგბურთის და ბადმინტონის განხრით. III კლასში ჩაირიცხებიან 1959, IV კლასში — 1958, VII კლასში — 1955 წელს დაბადებულნი.

მსურველებმა ცნობებისთვის უნდა მიმართონ სკოლა-ინტერნატის დირექციას. მისამართი: თბილისი, გლდანი. № 2 სპორტული სკოლა-ინტერნატი. ტელეფონი — 66-41-34.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 12035